

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“

წესდება

თავი I

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ (შემდგომში - „კოლეჯი“) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის დამფუძნებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - დამფუძნებელი).
2. კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.
3. კოლეჯი საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს ახორციელებს დამოუკიდებლად.
4. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. კოლეჯის მისამართია: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. #4.
6. ელექტრონული ფოსტის მისამართია: collegeicarus@gmail.com

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

1. კოლეჯის მიზნებია:
 - ა) ფორმალური პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამები) განხორციელება.
 - ბ) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.
 - გ) პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებზე საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება.
2. თავისი მიზნების მისაღწევად კოლეჯი:
 - ა) უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს, მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
 - ბ) ზრუნავს პროფესიული მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
 - გ) ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;
 - დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
 - ე) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
 - ვ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
 - ზ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
 - ტ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი II

კოლეჯის მართვა

მუხლი 3. ამოღებულია (07.12.2017)

მუხლი 4. კოლეჯის დირექტორი

1. კოლეჯის მართვის ორგანოა კოლეჯის დირექტორი. კოლეჯის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი.
2. კოლეჯის დირექტორი არის კოლეჯის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. მას შეიძლება ჰყავდეს მოადგილე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.
3. მოადგილე დირექტორის არყოფნისას ასრულებს მის მოვალეობას.
4. კოლეჯის დირექტორი არის რუსუდან ჩართოლანი (დაბადებული 03.01.1972, პირადი #01009010626, მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტალი, მე-2 კორპ. ბინა 51).

მუხლი 5. კოლეჯის დირექტორის ფუნქციები

კოლეჯის დირექტორი:

- ა) ახორციელებს კოლეჯის მართვას;
- ბ) წარმოადგენს კოლეჯს მესამე პირებთან ურთიერთობებში;
- გ) დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის შინაგანაწესს;
- დ) დამფუძნებელს შესათანხმებლად წარუდგენს საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;
- ე) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებას;
- ზ) არაუგვიანეს პირველი თებერვლისა, გაცნობის მიზნით აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს დამფუძნებელს კოლეჯის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;
- თ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, ხოლო ისეთ გარიგებებს, რომელთა ღირებულებაც აღემატება კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს, დებს კოლეჯის დამფუძნებლის თანხმობით.
- ი) წარმართავს და ზედამხედველობს კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს;
- კ) **ამოღებულია (14.08.2014);**
- ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- მ) ამტკიცებს კოლეჯის ბიუჯეტსა და პროგრამებს.

მუხლი 6. კოლეჯის დამფუძნებელი

1. კოლეჯის საქმიანობის საზედამხედველო ორგანოა დამფუძნებელი.
2. კოლეჯის დამფუძნებელი:
 - ა) ზედამხედველობს კოლეჯის დირექტორის საქმიანობას;
 - ბ) თანხმობას აძლევს კოლეჯის დირექტორს ძირითადი სტრუქტურული ერთეულების შექმნაზე და გაუქმებაზე;
 - გ) ახორციელებს კოლეჯის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლს;
 - დ) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას ქონების შეძენასა და გასხვისებაზე;
 - ე) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას სესხის აღებაზე;
 - ვ) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას თავდებობაზე;

- ბ) ითანხმებს კოლეჯის დირექტორის მიერ წარმოდგენილ საშტატო განრიგსა და ხელფასის ფონდს;
- თ) აძლევს თანხმობას კოლეჯის დირექტორს ისეთი გარიგებების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს;
- ი) ითანხმებს სხვა გადაწყვეტილებებს დაკავშირებულს კოლეჯის ქონებასთან, თუ ისინი სცილდება ამ წესდების მე-5 მუხლის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.
- კ) უფლებამოსილი არის, შეაჩეროს ან გააუქმოს კოლეჯის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 7. ამოღებულია (07.12.2017)

თავი III

დაფინანსების წყაროები

მუხლი 8. კოლეჯის დაფინანსება

1. კოლეჯის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
 - ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
 - ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
 - გ) ხელეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
2. კოლეჯის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში.
3. კოლეჯის სახსრების განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მთლიანად ხმარდება კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. კოლეჯის სახსრების გამოყენება სხვა მიზნებისათვის აკრძალულია.

თავი IV

კოლეჯის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 9. კოლეჯის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

კოლეჯის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V

მუხლი 10. კოლეჯის წესდებაში ცვლილების შეტანა

კოლეჯის წესდებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.